

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის

დავით ჯანიკაშვილის ანგარიში 2021 წ 3 დეკემბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩემო თანამოქალაქენო!

კოლეგებო!

ერთი წელი გავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან დღემდე და ჩვენი მოვალეობაა ამომრჩევლებთან წარვსდგეთ საკრებულოს წევრის ანგარიშებით .

მაჟორიტარი დეპუტატების შეხვედრები სოფლებში უკვე დასრულდა . მათი მუშაობა ამომრჩევლებმა დადებითად შეაფასეს და დღეს თქვენს წინაშე ანგარიშით ვართ საკრებულოში პარტიის „ქართული ოცნება“ პროპორციული წესით შესული დეპუტატები.

იყო ხალხის წარმომადგენელი , დამეთანხმებით, არის უდიდესი ნდობა და პასუხისმგებლობა.

თითოეული ჩვენთაგანი ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას და ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენდამი გამოხატული ნდობის შესანარჩუნებლად .

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბერს და ამ პერიოდიდან არჩეული ვარ საკრებულოს თავმჯდომარედ . ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით. საქმიანობას წავრვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ვცდილობ საკრებულოში გადაწყვეტილებები მივიღოთ მოსახლეობის ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით. შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ საზოგადოების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით . (ინფორმაცია მუდმივად ქვეყნდება, როგორც მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, ასევე საკრებულოს სოციალურ გვერდზე).

დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია 36 წევრით, მათგან 12 მაჟორიტარია, 10 ოპოზიციური პარტიებიდან არჩეული, დანარჩენი 14 კი – პარტიის „ქართული ოცნება“ სიით შესული. 36 წევრიდან ქალია 9, რომელთაგან 5– საკრებულოს თანამდებობის პირია.

საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია და 2 ფრაქცია .

საკრებულოს სხდომები კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება თვეში ერთი მაინც, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 13 საკრებულოს სხდომა , 12 საკრებულოს ბიურო. სხდომებზე განიხილება როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული , ასევე მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე რიგგარეშე საკითხები. საკრებულოს მიერ მიღებულია სულ 226 სამართლებრივი აქტი, მათ შორის :

99 ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტი- განკარგულება, 31 ნორმატიული აქტი- საკრებულოს დადგენილება. გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება-96.

შემიძლია ვთქვა, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობა სრულყო რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ სავალდებულო განხილვა.

ამ პერიოდში ჩატარებული კომისიების სტატისტიკა ასეთია:

იურიდიული კომისია -10 სხდომა, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია-9 სხდომა, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია -8 სხდომა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისია -9 სხდომა.

საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მთავარი დოკუმენტი , რაც საკრებულომ მიიღო, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტია. დამტკიცებული ბიუჯეტის წლიური მოცულობა 13 მლნ 820 ათასია, რაც 2. მლნ 520 ათასით მეტია 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მოცულობასთან. 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა 31მლნ 210 ათასია, რაც 8 მლნ 046 ათასით მეტია 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ბიუჯეტის გადასახდელების 9,1 % ხელფასია , ინფრასტრუქტურული სამუშაოები 59 %, 4,2 .% სოციალური პროგრამები და ჯანმრთელობის დაფინანსება 0.07..% წარმომადგენლობითი ხარჯები, 12,1 % მოდის ა(ა) ი.პ – ების სუბსიდირებულ თანხაზე . საზღვარგარეთ მივლინების თანხა არ დახარჯულა.

საკრებულო, მისი კომისია ყოველ კვარტალურად ისმენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს . 2022 წლის წლიური შესრულების მოსმენა კი 2023 წელს გაიმართება.

საკრებულოში მუშაობისას მუდმივად მაქვს ინდივიდუალური შეხვედრები მოქალაქეებთან. მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოსვლა საკრებულოში და არ არიან შეზღუდული მიღების საათებით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოვიარე ყველა ადმინისტრაციული ერთეული,

პირადად მივიღე მონაწილეობა მაჟორიტარი დეპუტატების ანგარიშების წარდგენის შეხვედრებში, მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები. იგი ძირითადად ეხება სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარე განათების მოწყობას.

ვამაყობ პროექტით, მუნიციპალიტეტის მთავარი პრობლემის - სიღნაღის მუნიციპალიტეტის უწყვეტი წყალმომარაგების საკითხის დაძლევით. მოგეხსენებათ, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, და რეზერვუარები მოეწყობა. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

წარმოგიდგინოთ ინფორმაციას სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2022 წელს მიმდინარე პროექტების შესახებ.

ქ. სიღნაღში 2022 წელს განხორციელებული პროექტებიდან ერთ-ერთია წმინდა ნინოს ქუჩაზე პარკინგისა და საყრდენი კედლის მოწყობა, ეს პროექტი განხორციელდა რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, რომლის ღირებულება იყო 495793,49 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 7 დეკემბერს და დასრულდა 2022 წლის 10 ივნისს.

ადგილობრივი ბიუჯეტით ქ. სიღნაღში განხორციელდა უფასო სასადილოს რეაბილიტაცია, ღირებულება შეადგენს 43273,49 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 20 ივნისს და დასრულდა 2022 წლის 19 აგვისტოს.

ქ. სიღნაღში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა საზოგადოებრივი ტუალეტის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ზემოთ ხსენებული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 12625,91 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 13 აპრილს და დასრულდა 2022 წლის 30 მაისს.

ქ. სიღნაღში რეგიონალური განვითარების ფონდის ეკონომიით დაზოგილი თანხით განხორციელდა სხვადასხვა ქუჩების (112–თან მისასვლელი ს/გზის, საბავშვო ბაღთან მისასვლელი ს/გზის, დადიანის N23 კორპუსის ეზოს და ჭავჭავაძის N3 სახლთან მისასვლელი ს/გზის) სარეაბილიტაციო სამუშაოები. მისი სახელშეკრულებო

ღირებულება შეადგენს 91475,97 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 1 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 25 იანვარს .რეაბილიტირებული ს/გზის გრძივი მეტრის ოდენობა შეადგენს 400 მეტრს.

ქ. სიღნაღში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა 112-ის შენობასთან დაზიანებული სანიაღვრე ჭის რეაბილიტაციის და ქსელის აღდგენის სამუშაოები, რომლის ღირებულება იყო 38998 ლარი.სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 25 ივლისს და დასრულდა 24 აგვისტოს .

ქ. სიღნაღში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა ქ. სიღნაღში სასაფლაოს გზების რეაბილიტაცია .ეს პროექტი დაიწყო 2022 წლის 29 მარტს და დასრულდა 3 ოქტომბერს . მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა იყო 426787,79 ლარი. რეაბილიტირებული ს/გზის გრძივი მეტრის ოდენობა შეადგენს 1,225 მეტრს .

ქ. სიღნაღში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ერეკლე II ქუჩის და სარაჯიშვილის ქუჩის ს/ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 262678,97 ლარი . სამუშაოები დაიწყო 6 სექტემბერს და დასრულდება 5 დეკემბერს . რეაბილიტირებული ს/გზის გრძივი მეტრის ოდენობა შეადგენს 437 მეტრს .

ქ. სიღნაღში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს წმ. გიორგის ქუჩის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები , რომლის სატენდერო ღირებულებაცაა 389997,99 ლარი . სამუშაოები დაიწყო 27 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 24 თებერვალს . .რეაბილიტირებული ს/გზის გრძივი მეტრის ოდენობა შეადგენს 471 მეტრს .

ქ. სიღნაღში გრანტით ხორციელდება ფასადების მოწყობის სამუშაოები არსებული იერსახის შენარჩუნებით. მისი სახელშეკრულებო ღირებულებაა 594042 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 1 ივლისს და დასრულდება ამა წლის 28დეკემბერს .

ქ. სიღნაღში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს აღმაშენებლის #13-ში არსებული შენობის და მერიის ადმინისტრაციული შენობის და ფასადზე არსებული ბელვედერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რომლის ღირებულება შეადგენს 14 214 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 19 აგვისტოს და დასრულდება 2022 წლის 18 ნოემბერს.

ქ.წნორში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სხვადასხვა ქუჩების ს/გზის რეაბილიტაცია

1.ქ. წნორში „ჭავჭავაძის” ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია (პროექტის ღირებულებაა 858578 ლარი)

2.ქ. წნორში „სიხაშვილის” ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია(პროექტის ღირებულებაა 742427 ლარი)

3. ქ. წნორში „არსენას” ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია (პროექტის ღირებულებაა 444153 ლარი)

4. წნორში „მეგობრობის” ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია(პროექტის ღირებულება 972969 ლარი) , რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 2 495 508 ლარს.სამუშაოები დაიწყო 2020 წლის 16 სექტემბერს და დასრულდა 2022 წლის 7 თებერვალს .

ქ.წნორში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სააკადის ქუჩისა და I შესახვევის, რუსთაველის II შესახვევის და აღმაშენებლის III შესახვევის გზების რეაბილიტაცია.რომლის ღირებულება შეადგენს 499481 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 17 მარტს და დასრულდა 2022 წლის 16 სექტემბერს .

ქ.წნორში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა „ბროწლიანის" დასახლებაში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა . რომლის ღირებულება შეადგენს 95721ლარს .სამუშაოები დაიყო 2022 წლის 14 თებერვალს და დასრულდა 2022 წლის 15 აპრილს .

ქ. წნორში ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარეობს ევდოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის სამშენებლო სამუშაოები. რომლის ღირებულება შეადგენს 1 997 143 ლარს.სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 22 დეკემბერს და დასრულდება 2022 წლის 31 დეკემბერს .

ქ. წნორში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს უფასო სასადილოს მშენებლობა რომლის ღირებულებაც შეადგენს 66 611 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 24 აგვისტოს და დასრულდება 2022 წლის 22 ნოემბერს .

ქ. წნორში განათლების სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს #3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.რომლის ღირებულებაც შეადგენს 418 999 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 18 აგვისტოს და დასრულდება 2023 წლის 9 იანვარს .

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ქ. წნორში მიმდინარეობს მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა. სახელშეკრულებო ღირებულება 2 111999 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 9 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 9 ივნისს.

სოფელ ანაგაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა #8 საბავშვო ბაღის ფილიალში ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი. მისი ღირებულება შეადგენდა 22455 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 28 თებერვალს და დასრულდა 2022 წლის 26 აპრილს .

სოფელ ანაგაში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სასაფლაოს (ე.წ. ღვთისმშობლის) და „ბაიდარაანთ“ უბნის გზებს რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს ჯამში 493 193 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 31 მარტს და ამჟამად მიმდინარეობს .

სოფელ ვაქირში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს კოპალას სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია. რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 224 435 ლარია . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 31 მარტს და მიმდინარეობს .

სოფელ ვაქირში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს „ჯანაანთ“ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 582981 ლარი . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 30 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 29 მარტს .

სოფელ ვაქირში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს სამუსიკო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაცია , რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 19 580 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 19 აგვისტოს და დასრულდება 2022 წლის 18 ნოემბერს .

სოფელ მაშნარში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ცენტრალური ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 487 790 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 29 აგვისტოს და დასრულდება 2023 წლის 26 მარტს .

სოფელ საქობოში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი . რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 32241 ლარს .

სოფელ საქობოში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა მინი - სპორტული მოედნის მოწყობა. მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 99510 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 21 დეკემბერს და დასრულდა 2022 წლის 30 აპრილს .

სოფელ საქობოში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ზოია რუხაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 514 997 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 2022 წლის 8 აგვისტოს და დასრულდება 2023 წლის 4 თებერვალს .

სოფელ ბოდბისხევში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სადალაქოს უბნის და საწყობების უბნის გზების რეაბილიტაცია . რომლის ღირებულება შეადგენდა 669 779 ლარს სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 29 მარტს და დასრულდა 2022 წლის 27 ივლისს.

სოფელ ბოდბისხევში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა სპორტული ტრენაჟორების მოწყობა , რომლის ღირებულება შეადგენდა 28 690 ლარს .

სოფელ ჯუგაანში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა „დოლანთ“ უბნის ს/ გზის რეაბილიტაცია , რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 198217 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 31 მარტს და დასრულდა 2022 წლის 30 მაისს .

სოფელ ტიბაანში რეგიონალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სოფლის ბოლოს ს/გზის რეაბილიტაცია , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 597 965 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 8 აგვისტოს და დასრულდება 2023 წლის 4 თებერვალს.

სოფელ ძვ. ანაგაში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენდა 135 035 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 29 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 28 იანვარს .

სოფელ ქვ. მაღაროში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომლის ღირებულებაა 391 383 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 22 სექტემბერს და დასრულდა 2022 წლის 22 აპრილს .

სოფელ ქვ. მაღაროში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს „ფოთოლანთ" უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოები . მისი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 629 997 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 27 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 25 აპრილს .

სოფ . ნუკრიანში მთის ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს (კალოები) სკოლასთან მისასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა, რომლის ღირებულებაა 66 946 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 24 აგვისტოს და დასრულდება 2022 წლის 23 ოქტომბერს

სოფ . ნუკრიანში მთის ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სპორტული დარბაზის მშენებლობა , რომლის ღირებულებაა 445836 . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 26 აგვისტოს დასრულდება 2023 წლის 23 აპრილს.

სოფ. ილიაწმინდა-ში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მისი ღირებულებაა 595 997 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 29 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 26 მარტს .

სოფელ ხორნაბუჯში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა მინი - სპორტული მოედნის მოწყობა . მისი

სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 118037 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს და დასრულდა 2022 წლის 30 მაისს.

ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარეობს სიღნაღი -ქვ. მაჩხაანის(სიღნაღი - ქედელი - ბოდბისხევი) დამაკავშირებელი ტურისტული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მისი სახელშეკრულებო ღირებულებაა 3 888 219 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 2022 წლის 13 აპრილს და დასრულდება 2022 წლის 9 ნოემბერს .

სოფელ ქვ. მაჩხაანში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა . მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 848 190 ლარს სამუშაოები დაიწყო 2020 წლის 26 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 26 აგვისტოს .

სოფელ ქვ. ბოდბეში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა . მისი სახელშეკრულებო ღირებულებაა 3 475 857 ლარი ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის 14 დეკემბერს და მიმდინარეობს დასრულდება ხელშეკრულების დადების დღიდან 14 თვის ვადაში .

სოფელ ძვ. ანაგაში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა. მისი სახელშეკრულებო ღირებულებაა 3 333 631 ლარი. ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის 13 დეკემბერს და დასრულდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვის ვადაში .

ქ.წნორში ქიზიყის ქუჩაზე მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს . მისი სახელშეკრულებო ღირებულებაა 2 618 888 ლარი . სამუშაოები მიმდინარეობს.

ამ წელში განსახორციელებელი, დაგეგმილი პროექტების ჩამონათვალი კი ასეთია:

1. სოფ. ნუკრიანის #17 საბავშვო ბაღის ფილიალის ეზოს კეთილმოწყობა (პროექტის ღირებულებაა 81278 ლარი)
2. სოფ. ბოდბეში #23 საბავშვო ბაღის ფილიალის ეზოს ეზოს კეთილმოწყობა და შენობის რეაბილიტაცია (პროექტის ღირებულებაა 116978 ლარი)
3. სოფ. ბოდბის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები არანაკლებ 13631 ლარი დღგ-ს გარეშე
4. სოფ. ქვ. ბოდბის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები არანაკლებ 17083 ლარი დღგ-ს გარეშე

5. სოფ. მადაროში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები არანაკლებ 10208 ლარი დღგ-ს გარეშე

6. სოფ. მაჩხაანში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები არანაკლებ 13631 ლარი დღგ-ს გარეშე

7. სოფ. ძვ. ანაგაში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები არანაკლებ 40816 ლარი დღგ-ს გარეშე

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ჩვენი მუნიციპალიტეტი. ეს იქნება ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აქტიურად ვმონაწილეობ მათი განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებაში.

საკრებულომ მერის ინიციატივით შეიტანა ცვლილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველი, გაჭირვებულთ დახმარება.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით დაფინანსდა 1921 მოქალაქის განცხადება, რომელზეც გაიცა 510230.50 ლარი, ასევე, დიალიზის პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების განცხადებები (32-მოქალაქე), რომელზეც გაიცა 26460 ლარი, 2022 წლის მონაცემებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 100 წლის და 100 წელს გადაცილებული 4 მოქალაქე (სოფ. ტიბაანი, ბოდბე, საქობო). თითოეულ მათგანს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გაეწია ფინანსური დახმარება 200ლარის ოდენობით, როგორც საიუბილეო საჩუქარი.

5 უსახლკარო ოჯახი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმებს - მარტოხელა, შრომისუუნარო, შშმ პირები და ბავშვიანი ოჯახები, ქირით იქნა გაყვანილი.

მიმდინარე წელს, ორ უმწეო და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარს გავუწიეთ დახმარება, ისინი მოთავსდნენ მოხუცთა თავშესაფრებში და ყოველთვიურ თანადაფინანსებას იღებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან -250 ლარის ოდენობით.

ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით ბენეფიციართა და მიზნობრივი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას.

ამ რამდენიმე თვეში, ბევრ კარგ და საჭირო ინიციატივას შეესხა ხორცი.

ახალგაზრდებისთვის განათლების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები უკვე გადავდგით, სიღნაღში შეიქმნა დებატების კლუბი, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ

როგორც ახალგაზრდებში, ასევე ზრდა სრულებში გამართული და დასაბუთებული მსჯელობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, ყოველწლიურად სიღნაღის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით იმართება -ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“.

კულტურულ სფეროში ახალ წამოწყებას და ტრადიციას ჩავუყარეთ საფუძველი:

ქ. სიღნაღში ჩატარდა ზაფხულის ჯაზის ფესტივალი“ , გაიმართა არტ - ფესტივალი, ღონისძიება ფართომასშტაბიანი იყო , მონაწილეობდნენ მხატვრები და მოქანდაკეები, ყოველი დღე მთავრდებოდა კონცერტით და პოეზიის საღამოთი. “Signagi ART Festival“ საქართველოს პარლამენტის წევრის, დავით სონღულაშვილის ინიციატივით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით ჩატარდება.

საფუძველი ჩაეყარა „ფიროსმანია სიღნაღში“- სახელწოდების ფესტივალს, მნიშვნელოვანია , რომ ფესტივალის ფარგლებში, , ნიკო ფიროსმანის მონუმენტი (მოქანდაკე გიორგი წულაძე) ქ. სიღნაღში გაიხსნა. სულ ცოტა ხნის წინ კი სიღნაღმა ღვინის დღეებს უმასპინძლა.

ჩვენს საამაყოდ უნდა ითქვას სიღნაღის თეატრის შეუჩერებლად მიწვევა საქართველოს ფარგლებს გარეთ . მ / წელს თეატრის დასმა სპექტაკლი „ მოხეტიალე დასი“ აჩვენა ესპანეთში, ბარსელონას საერთაშორისო ფესტივალზე,სადაც საუკეთესო სპექტაკლის პრიზი, გრამ . პრი დაიმსახურა, , თესალონიკში და ათენში კი საქართველოდან მხოლოდ ჩვენი თეატრის დასი არის მიწვეული საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 30-ე წლისთავზე , ეგიდით , „ ქართული კულტურის დღეები საბერძნეთში.“

აქ ისინი „სიკვდილი და ქალწული“-ის ჩვენებას გამართავენ .

ღონისძიებების ჩატარება ისევეა მნიშვნელოვანი, როგორც მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა , არა მარტო ჩვენი მოქალაქეებისთვის ,არამედ ჩამოსული ტურისტებისათვის. მ/ წელს ქ. სიღნაღს დაახლოებით 70 000 ტურისტი სტუმრობდა . ეს კი ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკაზე აისახა თავისთავად.

არ შემძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა სპორტზე, როგორც იცით , ჩემი მერად მუშაობის შემდეგ, თითქმის სამი წელი ამ სფეროში მომიწია მუშაობა. მიხარია , რომ ამ პერიოდში კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ, გახდა ევროპის ჩემპიონი ჩვენი საკრებულოს წევრი და ჩვენი თანაგუნდელი ცოტნე ბეჟაშვილი. კიდევ ერთხელ , თქვენთან ერთად ვულოცავ ცოტნეს ამ გამარჯვებას და ვუსურვებ კიდევ ბევრჯერ ასახელოს საქართველო.

რა თქმა უნდა მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, მათ ყველა მიღწევას დღეს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ სიამაყით მინდა ავღნიშნო , რომ გოგონათა შორის ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა გოგონა , ლუდმილა ფერაძე გახდა .

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენთვის ახალგაზრდებთან მუშაობა. მათ შორის მუნიციპალიტეტში მათი დასაქმების მხრივ. მივესალმები ამ კუთხით მუნიციპალიტეტის მერის მიერ აღებულ კურსს, მ/ წელს მათ მიერ ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული კონკურსების უმეტესობაზე ძირითადად ახალგაზრდები შეირჩნენ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია პავლიაშვილი. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 სხდომა. საყურადღებოა ქალთა მიმართ ან /და ოჯახში ძალადობის თემაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეხვედრების ორგანიზება და მოსახლეობის ინფორმირება . საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე , როგორც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი აქტიურად იყო ჩართული პროექტში „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობისთვის“ , რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ იქნა შშმ პირთა უფლებების დაცვის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. პროექტი განხორციელდა ორგანიზაციებთან: „ თემი - ქედელი“, "ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" და "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" თანამშრომლობით და "ევროკავშირის" ფინანსური მხარდაჭერით.

მივესალმები მუნიციპალიტეტის მიერ აღებულ ვალდებულებას შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის თაობაზე.

მეგობრებო!

ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტის წარმომადგელობით ორგანოს უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლია . ამ მიზნით მ/ წელს მოვისმინეთ მერიის 6 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ანგარიში, მერიის მიერ დაფუძნებული 8 ა(ა) ი.პ - ის ხელმძღვანელის ანგარიში. მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს კი საკრებულო 2023 წლის პირველ კვარტალში მოისმენს.

საკრებულოს თითოეული წევრი, მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე , ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის მერთან, მალხაზ ბეგიაშვილთან , მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ვფიქრობთ ერთობლივი მუშაობით დაიძლევა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ამოცანები.

ბოლოს ,ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოს აპარატს , რომელიც საკრებულოს ფუნქციონირების, მათი საქმიანობის ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით არის შექმნილი და ორი სტრუქტურული დანაყოფით არის წარმოდგენილი . აპარატის ხელმძღვანელობა პირადად მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს მევალება . ვფიქრობ, აპარატი კვალიფიციური ადამიანებით არის დაკომპლექტებული, თუმცა დიდ ყურადღებას ვაქცევ მათი გადამზადების საკითხებს. მ/წელს ტრენინგი „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT) ფარგლებში გაიარა – „საჯარო მოხელეთა სწავლების ინტერ.მუნიციპალური მოდელი“ –1,

სახელწიფო აუდიტის სამსახური, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი,

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი 1, სახელწიფო აუდიტის სამსახური, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, „ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება“-1 თანამშრომელმა, ონლაინ – უფასო ტრენინგები გაიარა და სერტიფიკატი აიღო 3.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გითხრათ , რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია, პრობლემაც არა ერთი, რომელსაც თქვენი მონაწილეობით და ჩვენი გუნდური მუშაობით დავძლევთ.

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის, მადლობას გიხდით იმ თანადგომისთვის, რასაც თქვენ ჩემდამი გამოხატავთ.

მიმაჩნია, განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა დარჩენილ საანგარიშო პერიოდში.

დავით ჯანიკაშვილი

